თიბისი ბანკი

# 0006803 სამზარეულოს საწარმოო დანადგარები

ელექტრონული ფასთა კოტირება



სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ  ღია ელექტრონულ ფასთა კოტირებაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

## I. მონაწილეობის წესები

**წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 24.03.2026წ. 12:00 საათიდან 15:00 საათამდე.**

**ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:**
გიორგი აბესალაშვილი  577 077 759 gabesalashvili@tbcbank.com.ge

**დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან  დაკავშირებით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.ge

- დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის  ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ფასს და დააკმაყოფილებს გამოცხადებულ პირობებს.
- გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ „თიბისი ბანკში“ უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს  საბანკო რეკვიზიტები.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ელ. ფასთა კოტირება, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

## II. შესყიდვის საგანი

დაკვეთა გულისხმობს ბანკის სათავო ოფისში მდებარე სამზარეულოსთვის სწარმოო დანადგარების მიწოდებას და მონტაჟის მომსახურებას. სასურველია სრული შესყიდვა განხორციელდეს ერთი მომწოდებლისგან, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ვეძებთ **მხოლოდ ადგილზე არსებულ ან ტრანზიტში მყოფ საქონელს**, შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება მოხდეს პოზიციების მიხედვით.

გადაწყვეტილების მიღება მოხდება ფასის გათვალისწინებით, თუმცა მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შემოთავაზებული საქონლის ხარისხი და საექსპლოატაციო რესურსი. ასევე მომწოდებელი კომპანიის გამოცდილება საქონლის რეალიზაციის, მონტაჟისა და შემდგომი მომსახურების კუთხით;

## III. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები და საქონლის დეტალური განფასება (**დანართი N1**);
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;
- შემოთავაზებული საქონლის დეტალური ტექნიკური აღწერილობა;
- კომპანიის გამოცდილება ადგილობრივ ბაზარზე, შემოტავაზებული საქონლით ოპერირების შესახებ;